საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვირსალაძე დავით კონსტანტინეს ძე

ვირსალაძე დავით კონსტანტინეს ძე (დ. 25. XI. 1943, თბილისი), ენდოკრინოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2004), საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკად. წევრი (2002). 1966 დაამთავრა თსსი. 1977-იდან იყო თსსი-ის ენდოკრინოლოგიის კათედრის თანამშრომელი, კათედრის გამგე (2003-იდან), 2009-იდან არის თსსუ-ს მედ. ფაკ-ტის ენდოკრინოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. 2000-იდან არის საქართვ. ენდოკრინოლოგთა საზ-ბის თავ-რე, არასამთავრობო ორგანიზაცია – ექიმთა და დიაბეტით დაავადებულთა თბილ. რეგიონული კავშირის “დ-მელიტუსის” ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავ-რე (1997-იდან), ევრ. დიაბეტის შესწავლის საერთაშ. ასოციაციის (EASD) წევრი (2002-იდან), საქართვ. თიროიდოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი (2004); ევრ. ენდოკრინოლოგთა ასოციაციის გამგეობის (ESE) წევრი (2005-იდან). ვ-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი სფეროა შაქრიანი დიაბეტი, მეტაბოლური სინდრომი (შაქრიანი დიაბეტის და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინა მდგომარეობა), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები. ვ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 4 მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: მეტაბოლური სინდრომი – რეალობა და პერსპექტივები, თბ., 2001; ოქსიდატური სტრესი და ენდოთელური დისფუნქცია მეტაბოლური სინდრომის დროს, თბ., 2006.